ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 2
(73) 1998
27 იანვარი




## ჩვენი საფირმო (ილუსტრირებული) სუპერკროსვორდი – 117 სიტყვით



**თარაზულად:** 7. კომუნალური სფეროს ერთობ მნიშვნელოვანი თანამდებობა. 8. ფადეევის რომანის („ახალგაზრდა გვარდია“) პერსონაჟი, გვარად გრომოვა. 9.საქართველოში მოღვაწე ბულგარელი რეჟისორი ქალი. 10. ციმბირის მდინარე. 12. თეატრალური დარბაზის ნაწილი. 14. რაფაელის ნახატი (ორი სიტყვა).

**შვეულად:** 1. „სანტაკლაუსის“ სამშობლო ფინეთში. 2. სიმაღლის ხე-სიმბოლო. 3. ვის მოღალატეს „არ უნდა ჰყავდეს დამმარხველი?“ (ნათ.ბრ.) 4. ქიმიური ელემენტი... საფრანგეთიდან. 5. ნაცვალსახელი. 6. მუს. ინსტრუმენტი. 11. რაიმე მცნების მთავარი რამ. 13. პერსონაჟი კ/ფ „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“

## „ფანტაზიის“




Sharon Stone

## ანეკდოტები ანეკდოტები

(მე-4 გვერდი)

სპილოს მაიმუნის მკვლელობისათვის ასამართლებენ და თავის მართლებისათვის მიეცა სიტყვა:

- მივდივარ ერთხელ ჯუნგლებში და გზაზე მაიმუნი შემომხვდა. მე გავუღიმე და მანაც გამიღიმა; მე ვუთხარი: „მოდი ჩემთან, ლამაზო!“ და ისიც მოვიდა.

— მერე? — ეკითხება მოსამართლე.

— მერე დავიწყეთ... მე ვკითხე მაიმუნს — „კარგია?“ - იმან მითხრა: „კარგია! შენთვის, სპილო, შენთვისაც კარგიაო?“— მკითხა მაიმუნმა. მე ვუთხარი — „კარგია-მეთქი“ — და უცებ მთლად „კარგად“ ვიგრძენი და... მაიმუნი გასკდა!

**საკროსვორდო ჩემპიონატის მე-2 ტური**
**პრიზი – 100 ლარი**

# რა განსხვავებაა ჩვენს შორის?!



## პროლოგი

ვიდეომანიის გარიჟრაჟზე ჩვენს არალეგალურ ვიდეოდარბაზებში ერთი ფანტასტიური ხასიათის ფილმის დემონსტრირება მიმდინარეობდა და მას „მაიმუნების პლანეტა“ ერქვა. მართალია, ეს ფილმი ტოლს ვერ უდებდა მაშინდელ „ბესტსელერებს“, რასაც მხოლოდ ეროტიული ხასიათის ქმნილებები მოიცავდნენ, მაგრამ „მაიმუნების პლანეტა“ (2 სერია) მაინც შემორჩა მეხსიერებას თავისი უცნაურობითა და, ახლა ვიტყოდი, წინასწარმეტყველურობით.

ფილმში საქმე ეხებოდა იმ ფაქტს, რაც, შესაძლოა, ჩვენს პლანეტას ელის კიდევაც მომავალში... ადრეულში თუ შორეულში; ანუ: ატომური კატასტროფის შედეგად ადამიანთა მოდგმა მოისპობა, გადარჩებიან მხოლოდ მაიმუნები და ისინი — ენაამოდგმულნი და გაგონიერებულნი — ჩვენს ლამაზ პლანეტას დაეპატრონებიან...

## ჩანართი

ჩვენ აქ მატერიალისტურ-იდეალისტური ფილოსოფიების შეხლა-შემოხლას არ შემოგთავაზებთ – არც იმას დავამტკიცებთ, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა (...და ისევ გამაიმუნდა!) და არც იმას ვიტყვით, რომ ღვთიური თიხისაგან ვართ გამოძერწილნი, რადგან ერთიცა და მეორეც (თეორიაზე მოგახსენებთ!), რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ჭეშმარიტად მიგვაჩნია. მთავარია, რომ ჯერჯერობით ადამიანები ვართ და...

დიახ, დიახ, ჯერჯერობით!

## იგავი

ის პატარა იგავი გეხსომებათ, ერთ მექუდეს ტყეში რომ ჩაეძინა და მაიმუნებმა მისი ქუდები რომ მიიტაცეს; მერე ისიც გეხსომებათ, თუ რა საშუალებით დაიბრუნა მექუდემ თავისი პროდუქცია — საკუთარი ქუდი დაანარცხა ძირს და მაიმუნებმაც მას მიბაძეს... ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩვენი სათქმელიც სწორედ ამაშია ჩამარხული (ძალლის თავივით) - მაიმუნების მთავარი თვისება მიმბაძველობაა-თქვა, გვინდოდა გვეთქვა...

ჩვენი?

ჩვენი მთავარი თვისება რაღაა?!

...დიახ, ბატონო, მიმბაძველობა! - და ეს არამარტო ქართველებს ეხებათ.

## ღრმა ისტორიული ექსკურსი

ე.წ „დამპყრობი“ არ გაჭაჭანებულა ჩვენში, მისი ავი თუ კარგი თვისება საკუთარი ნება-სურვილით რომ არ გადმოგვეღო; აბა, რომელი სპარსელი გვექაჩებოდა ენაზე, რომ გინდა თუ არა შენი სიტყვები დაივიწყე და ჩვენებური „ბულბული და ვარდი“ იხმარეო? ან რომელ არაბს მოუვიდოდა თავში, რომ ჩვენში ძალით გაევრცელებინა სიტყვა „თამადა“?! ვითომ ბერძნები გვაძალებდნენ იმას, რომ (ჩვენი) სუნთქვისათვის აუცილებელი ნივთიერების მოსახსენიებლად სწორედ (მათგან) გვესესხა სიტყვა „ჰაერი“?!

მართალია, ლექსიკური გაცვლა-გამოცვლა აუცილებელი და გარდუვალი მოვლენაა, მაგრამ ასეთი?! – როცა შენსას მხოლოდ იმიტომ უარყოფ, რომ სხვისა „მოდაშია“ შემოსული....

ვითომ რა, ჩვენებური „მწდე“, უფრო არაკეთილხმოვანია, ვიდრე „თამადა“ ან თურქული „ტოლუმბაში“?!

ვითომ?!

## ახლო ისტორიული ექსკურსი

დღეს რუსული ლექსიკის მასობრივი განდევნა დაიწყო და ეს უფრო პოლიტიკური ხასიათის დროებითი ფაფხურია, ვიდრე ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების შედეგი. არადა, განა იმავე პოლიტიკურმა „ფაფხურმა“ (...და პარტიულმა მოდამ) არ დაგვანაგვიანებინა ჩვენი ენა იმ დონეზე, რომ საყვარელ არსებას ლამისაა ასე მივმართავდით - „მე შენში შეყვარებული ვარო“?!

წამოვიდოდა მოსკოვიდან რაღაც მორიგი იდიოტიზმის წარღვნა და რუსულსავე „კიდობანს“ შეფარებული „მოღვაწეები“ იმდენად გალაღდებოდნენ ამ „წარღვნაში“, რომ ერთმანეთს „ვნებათაღელვას“ ლენინის ენაზე უფიანდაზებდნენ. („ფაი“ - ფეხი, „ანდაზ“ - დაფენა, სპარსულად).

## ისტორიული სინამდვილე

ახლახან დამდგარი ახალი წელი ჩვენ ლაპლანდიელმა „სანტა-კლაუსმა“ რომ მოგვილოცა და თან უამრავი „ბარბი“ რომ ჩამოურიგა ჩვენს „ჩილდრენს“ (ბალღებს, ბჯოუ, ბალღებს!), კიდევ ერთხელ ვიგრძენი, „დროთა კავშირი“ (*შექსპირი, „ჰამლეტი“*) არ დარღვეულა და ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ჩვენს ისტორიულ მისიას - მთელი შეგნებითა და ენერგიულობით ვბაძავთ „ახალ დამპყრობს“, რომელიც არც ხმლით, არც ხიშტით და არც რევოლიუციური ლოზუნგებით მოსულა... უბრალოდ თავისი კულტურა მოუსია ჩვენს „ეროვნულ თვითშეგნებას“, თუმცა ჩვენი (უკაცრავად და...) ბჟუტურის მოსმენას სჯობს ფანჯარაში გაიხედოთ, ან ტელევიზორი ჩართოთ, ან სულაც ჩვენი ქალაქის ელიტარული ოჯახების სატელეფონო საუბრებში შემთხვევით ჩაერთოთ და „ინFორმეიშენ“-ს თავად მიიღებთ

## ბოდიშის მოხდით

„მაიმუნი“ სპარსული სიტყვა გახლავთ, თუმცა სპარსელები ამ ცხოველის დასახასიათებლად უფრო სხვა სიტყვას - „შადი“ - ხმარობენ, რაც „გამრთობს, მხიარულს“ ნიშნავს (აქედანვეა სიტყვა „შადრევანი“ - მხიარულად მჩქეფარე). უკვე გითხარით, რომ ამ არსებასთან ჩვენი გენეალოგიური კავშირის შესახებ არსებულ საკაცობრიო დავაში ცხვირის ჩაყოფა არ გვსურს (რა იცი, ხვალ რომელი იდეოლოგია იბატონებს?!), ჩვენ უბრალოდ გვგონია, რომ ამ ჭკუამხიარული სუბიექტის მსგავსად მიმბაძველობის თვისება ჩვენც მოჭარბებულად გვაქვს განვითარებული და ეს თვისება თუ მაიმუნისათვის რაღაც, ალბათ, სასარგებლო თვისებას წარმოადგენს, ადამიანისათვის ნამდვილად დამღუპველია, რადგან ერთადერთი, რითაც იგი ცხოველისაგან გაირჩევა, „პიროვნულობაა“ (გნებავთ, თავისთავადობაც უწოდეთ).

„მიმბაძველობის“ სენი კი არა მარტო ჩვენ, ქართველებს, გვახასიათებს, არამედ ყველა ერისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელია, ასე რომ „მაიმუნთან“ კავშირში ჩვენ ვამხელთ ყველას, განურჩევლად ერისა, ბერისა და ფერისა.

## ანეკდოტი

ერთხელ დედიკომ თავისი „ჩაილდი“ (ბალღი-მეთქი!) ზოოპარკში წაიყვანა. ბიჭუნა დიდხანს იდგა (მაიმუნის) გალიასთან. დედიკომ ჰკითხა:

– მოგეწონა „MONKEY“ (მაიმუნი-მეთქი)?

– არა, ველოდები, როდის გაადამიანდებაო!

## ეპილოგი

ჰოდა, გეკითხებით ყველას, განურჩევლად ერისა, ბერისა და ფერისა:

– რა ვქნათ, ჩვენც დაველოდოთ მანამ, სანამ მაიმუნები ჩვენს პლანეტას დაეპატრონებიან?!

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის, სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
ტელეფონი 74-64-80
გაზეთი „ფანტაზია“ გამოდის 1996 წლის 7 თებერვლიდან

## Perpentum Mobile

გამომგონებელი შედის საპარიკმახეროში:

— მინდა თქვენს ორგანიზაციას ჩემი უკანასკნელი გამოგონება შევთავაზო... ეს გახლავთ საპარსი ავტომატი! კლიენტი აგდებს მასში რამოდენიმე მონეტას, ყოფს თავს, აი, ამ ხვრელში და ორი სამართებელი ავტომატურად იწყებს პარსვას!

— კი მაგრამ, ყოველ ადამიანს ხომ სახის ინდივიდუალური აგებულება აქვს?

— სანამ შეყოფს, აქვს!

## კინოლოგია!!!

ღამით პარკში ერთი ქალი მიდის და ესმის:

— გაჩერდი! ...ქალი ჩერდება.

— დაწექი! ...ქალი წვება.

— გახოხდი! ...ქალი მიხოხავს და უცებ ვიღაც ჩასჩურჩულებს ყურში:

— ქალბატონო, თქვენ ცუდად ხომ არ ხართ — მე აქ ძაღლს ვწვრთნი და ვხედავ, თქვენ მოხოხავთ?!

## გაოცება

გზაზე „მერსედესი“ და „ზაპოროჟეცი“ შეეჯახნენ ერთმანეთს. გადმოვიდა მანქანიდან „მერსედესის“ მფლობელი და თქვა: „ეს არაფერია, ხვალ ახალს ვიყიდი!“

„ზაპოროჟეცის“ მფლობელმა კი ამოიკვნესა: „მთელი ცხოვრება ვაგროვებდი ფულს ამის საყიდლად“.

— მერე, შე დებილო, რატომ იყიდე ასეთი ძვირი მანქანა?! — სრულიად საფუძვლიანად გაიოცა „მერსედესელმა“



## რიტორიკული კითხვა

მატარებლის კუპეში დედა უხსნის პატარა შვილს, თუ როგორ წარმოიშვებიან ბავშვები:

— იღებენ თიხას, ძერწავენ პატარა ბავშვს და..

ამ დროს ზედა თაროდან გადმოიხედავს აღმოსავლური წარმოშობის ულვაშა „კლიენტი“.

— მელე, დედიკო, მელე ლას შვებიან?

— მერე იმ თიხის ბავშვს რძეში აბანავებენ და გამოდის ბიჭი...

— გოგო?

— გოგოს წყალში აბანავებენ...

— ვაჰ, ძველი მეთოდი გააუქმეს?! — რიტორიკულ კითხვას სვამს ულვაშა აღმოსავლელი (კლიენტი — რედ.)

## ნოსტალგიური ნოველა

ავტობუსის მძღოლი მიმართავს მგზავრებს:

— ბატონებო, ჩასვლისას ფული გადაიხადეთ!

— ბატონები ახლა „მერსედესებით“ დადიან, პასუხობს ვიღაც „ინტრიგანი“.

— თქვენ ვიღა ხართ?

— ჩვენ ამხანაგები ვართ! — არ ცხრება „ინტრიგანი“.

ღამეა.

ერთი ლოთი ცდილობს სინათლის ბოძს გასაღები მოარგოს. მასთან მილიციელი მიდის და ეუბნება:

— მოქალაქე, ხომ ხედავთ, რომ სახლში არავინ არის?

— როგორ თუ არავინ არის — მაშ, მეორე სართულზე სინათლე რატომ ანთია?!

● ● ●

— მამიკო, მამიკო. ფილიალი რა არის?

— შენ ღამის ქოთანი გაქვს?

— მაქვს.

— ჰოდა, შენი ქოთანი ჩვენი უნიტაზის ფილიალია.

● ● ●

საგზაო პოლიციელი საეჭვოდ მომავალ ავტომობილს აჩერებს და მძღოლს სთავაზობს, რომ საკონტროლო მილაკში ჩაბეროს. მძღოლმა ჩაბერა და მილაკი გამწვანდა.

— მოქალაქე, თქვენ ნასვამი ხართ! — მკაცრად მიმართავს პოლიციელი მძღოლს.

— რას ბრძანებთ, ბატონო, მე ცხოვრებაში არ დამილევია?! ეს თქვენი მილაკია გაფუჭებული, აი, თუ გნებავთ, ჩემმა მეუღლემ ჩაბეროს...

მეუღლემ ჩაბერა და მილაკი გამწვანდა.

— ახლა თუ გნებავთ ჩემმა ბიჭუნამ ჩაბეროს.

ბიჭუნამ ჩაბერა და მილაკი გამწვანდა.

საგზაო პოლიციელი დაიბნა და მძღოლი გაუშვა.

მძღოლი მანქანაში რომ ჩაჯდა, მეუღლეს გადაულაპარაკა:

— შენ კი მეუბნებოდი — ბავშვს არ დაალევინოო!

● ● ●

სოფლიდან ჩამოსული მოხუცი ბაბუა შვილიშვილებმა თეატრში წაიყვანეს. თეატრიდან რომ დაბრუნდნენ, ბავშვებმა ბაბუას ჰკითხეს:

— ბაბუა, ბაბუა, როგორ მოგეწონა თეატრი?

— ძალიან მომეწონა... განსაკუთრებით სპექტაკლის დასასრულს იყო კარგი — პალტოებს რომ არიგებდნენ, მე სამი ავიღე.

● ● ●

В автобусе давка.

Какой — то мужчина держит сетку с яйцами и кричит:

— Осторожно, у меня яйца!

Грузин возмущается:

— У нэго яйца! А у меня что, пэрсики, да?

● ● ●

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში:

— ექიმო, ნაპოლეონი მე-6 პალატოდან ლენინს ურტყამს.

— მერე-და, სად იყო ეგ პარაზიტი 1917 წელს?!

● ● ●

ავტომანქანის ხელოსანი მანქანის ქვეშაა შემძვრალი და დიდხანს რაღაცას ჩხიკინობს. ბოლოს, როგორც იქნა გამოდის იქიდან და პატრონს ეუბნება:

— ცხენი რომ იყოს, ჩემი ხელით მოვკლავდი.

● ● ●

— მეზობელო, შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო?

— არა! ყურმილი აქვს მოწყვეტილი.

— მერე-და, რამ მოწყვიტა?!

— გუშინ ჩემმა ქმარმა ძმაკაცს დაურეკა და უყვებოდა, თუ როგორი დიდი თევზი დაიჭირა...

● ● ●

დიალოგო XXI საუკუნეში:

— მითხარით, გეთაყვა, აირწინაღი ხელს არ გიშლით თქვენს ინტიმურ ცხოვრებაში?

— რას ბრძანებთ?! — პირიქით! ჯერ ერთი, ჩემი ცოლი ამ დროს დუმს, მეორე — მე მის სახეს არ ვხედავ და რაც ყველაზე მთავარია, მესამე — მე მას სარქველს რომ გადავუკეტავ ხოლმე, იგი ოდნავ მაინც მოძრაობს.



ომის დროს ერთი „ცისფერი“ ფრონტზე მოხვდა. ჩაჯდა იგი სანგარში, გარშემო კი ზარბაზნები ისვრიან, თვითმფრინავები ბომბავენ, ჭურვები ფეთქდება... „ცისფერი“ ფეხზე წამოდგა, მინდორს გახედა და დაიყვირა:

— აი, წყეულო ფაშისტებო, თქვენ ასეთი ლამაზი ყვავილები გაანადგურეთ?!

„სტარშინამ მას დაუყვირა:

— დაწექი, რიგითო, დაწექი!

— არ დავწვები, არა! მე თქვენ არ მომწონხართ!





**ეს ამბავი ერთ პატარა გერმანულ ქალაქში მოხდა... ქალაქის სანაგვეზე ადამიანის დაჩეხილი სხეული იპოვეს... ...მანამდე კი იყო სიყვარული!**

# სიყვარული და მაგია

## Love story

პეტერი ერთი უბრალო პარიკმახერი იყო, თუმცა დროდადრო მასთან, უბრალოების მიუხედავად, ლამაზი ქალბატონებიც დაბრძანდებოდნენ, რადგან (დროდადრო) პეტერის ფანტაზია მას მშვენიერი ვარცხნილობების შექმნის საშუალებას აძლევდა. სწორედ ასეთი ლამაზი ქალბატონი იყო ერიკაც, რომელსაც ბევრი რამ სმენოდა პეტერის ფანტაზიის შესახებ... ასე დაიწყო მათი ნაცნობობა, რასაც ბიძგი ქალმა მისცა იმით, რომ (საბრალო) დალაქი საღამოს რესტორანში მიიწვია.

ერიკა უკომპლექსო ქალი აღმოჩნდა და პირველივე საღამოს ჩაუგორდა ლოგინში თავის (მომავალ) მსხვერპლს. პარიკმახერს (ჩვენებურად – დალაქს) ეს ყველაფერი ძალზედ მოეწონა, მაგრამ, ალბათ, თავისი პროვინციულობის გამო, ქმარსგაცილებულ ქალთან ურთიერთობის გამჟღავნებისა ერიდებოდა და ჩუმად დააძვრენდა თავის „სატრფოს" მახლობელი ქალაქების სასტუმროებში და თან უკვირდა კი – რატომ სახლში არ მიმიწვევსო ერიკა, მით უმეტეს, რომ ქალს საკუთარი სახლი და ცხოვრების მშვენიერი პირობები ჰქონდა... სანამ ამ ეჭვებში იყო ჩაფლული ჩვენი დალაქი, მას ნელინელ ის გრძნობა შეეპარა, რასაც უბრალო ხალხი სიყვარულს ეძახის და, როგორც ჩანს, გრძნეული ერიკაც ამ მომენტს ელოდებოდა! – ქალები ხომ რაღაც ქვეცნობიერად სცნობენ ხოლმე მამაკაცში აღძრული ყოველი გრძნობის გამოვლინებას და... ერიკამ სახლში მიიწვია მასზე „ყურებამდე შეყვარებული" პეტერი.

## Magic

ერიკას სახლში მრუმე წყვდიადი მეფობდა, ყველაფერი ნახევრად ბნელ, მუწ-წითელი ფერით იყო მოსილი, კედლებზე ძველი გოთური რუნების ილუსტრაციები და კაბალისტიკური სიმბოლოები ეკიდა. მშვენიერმა ერიკამ თავი იმით „იმართლა", რომ მას საკუთარი სილამაზის შენარჩუნება სურს და საამისოდ იგი, არ ენდობა რა კოსმეტიკის მიღწევებს, უძველესი მაგიური რეცეპტებითა (...და გარემოთი) სარგებლობს. ამასთანავე წმინდა ქალური ხრიკიც იხმარა და მრავალმნიშვნელოვნად განაცხდა, რომ მას აქამდე პირად ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა და ეგებ ახლა.... „ჰა, პეტერ?!"

...და სხვა რაღა დარჩენოდა სიყვარულისაგან გამოდებილებულ (*უკაცრავად! – რედ.*) პეტერს? – იგი ქალს შეჰპირდა, რომ საბოლოოდ გააბედნიერებდა და „კუბოს კარამდე" ეყვარებოდა... ერთის პირობით (პირობა ქალმა დაუთქვა) – ყოველი „ინტიმური აქტის" წინ მათ შავი მაგიის აუცილებელი ერთსაათიანი სეანსი უნდა ჩაეტარებინათ! პეტერს ეს ამბვი მოეწონა კიდეც და არა მარტო იმიტომ, რომ გამოდებილებული (*უკაცრავად! – რედ.*) იყო, უბრალოდ ამ პროვინციელი ბიურგერისათვის მსგავსი თამაშობანი (სულების გამოძახება, დემონებთან კონტაქტი, ნაირგვარი მკითხაობანი და სხვა) ერთგვარი გართობაც კი იყო და... თან ასეთი მომხიბლავი და საყვარელი არსების გვერდით და თანაც „იმ ამბის" წინ! ხუმრობა იქით იყოს და, ერიკამ თავისი ჯადოქრობით საბრალო პარიკმახერი თანდათანობით წყნარ სიგიჟემდე მიიყვანა და, „მაგიური სიყვარულის" ანაბანადან გამომდინარე, დაარწმუნა თავისი მსხვერპლი, რომ დროა, „მიწიერი სიყვარულიდან" ნაბიჯ-ნაბიჯ „ზეციურ სიყვარულამდე" ამაღლებულიყვნენ, თუმცა ის კი არ განუცხადებია, თუ რა საშუალებით ამაღლდებოდნენ და არც პეტერი დაინტერესებულა ამით... მას უბრალოდ წართმეული ჰქონდა ყოველგვარი სხვა ინტერესი, გარდა თავისი მისტიკოსი ქალისადმი ტრფობისა.




## ფაფუ, პარიკმახერი

ამ ამბებიდან სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ მაწანწალებმა ქალაქის სანაგვეზე მამაკაცის დაჩეხილი სხეული და შემწვარი (?!) თითები იპოვეს. ჩვენ, (*მე და თქვენ, ბატონო მკითხველო – რედ.*) კი ვხვდებით, რომ ეს საბრალო პეტერის სხეულის ნარჩენებია, პოლიციამაც მალე დაადგინა მისი ვინაობა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა ამ პატარა მყუდრო ქალაქში კაციჭამია (მათ ასე ეგონათ) გამოჩენილიყო. ძიებამ სამართალდამცავნი ერთ ნარკომან გოგონაზე გაიყვანა. ეს გოგონა მახლობელი საფლიდან იყო ჩასული იმ ქალაქში და პეტერის საპარიკმახეროში მუშაობდა; პეტერის გზაკვალი კი მასაც დაკარგული ჰქონდა. ამ გოგონას ფაქტორი ძიებისათვის მხოლოდ იმით აღმოჩნდა საინტერესო, რომ მას უკანასკნელს ჰყავდა ნანახი ცოცხალი პეტერი და მისი აფორიაქებული ცხოვრების შესახებ რაღაც-რაღაცეები იცოდა.

...და როგორც ეს ნამდვილ დეტექტიურ ნაწარმოებებში ხდება, ამ პატარა გერმანულ ქალაქშიც საგამომძიებლო სასწაული მოხდა, როდესაც კერძო დეტექტივმა პაულ ნელკემ ლუდხანაში შემთხვევით მოისმინა ერთი ჩასუქებული ყასაბის მონათხრობი იმის თაობაზე, რომ მასთან ფერმაში თვეში ერთხელ ოცდაათიოდე წლის ლამაზი ქალი დაიარება და ახლადდახოცილი პირუტყვის სისხლს ყიდულობს. ამ სისხლს სამ დიდ „კანისტრაში" ასხამს და თავის „ფოლცვაგენში" აბარგებს.

კერძო დეტექტივი პროფესიული ინტუიციის წყალობით უმალ მიხვდა, რომ ამ ამბავს რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა საბრალო პარიკმახერის სიკვდილთან და ასე, ყასაბის საშუალებით, გავიდა იგი ერიკა ბოზენის კვალზე.

## სისხლიანი აბაზანა

ფრაუ ბოზენმა დეტექტივი (მორიგი მსხვერპლი?!), თავისი ქალურობის შესაბამისად, ძალზედ გულღიად მიიღო და სისხლის შესყიდვის ფაქტი არც-კი უარუყვია: „ეს სისხლი მე იმ შუასაუკუნეობრივი რეცეპტის თანახმად მჭირდება, რომელიც სხეულის დაბერების შესაჩერებლად სავსე მთვარიან ღამეს სისხლიან აბაზანაში განბანას მოითხოვსო" – განმარტა ვამპირმა ქალბატონმა.

ასე გაუჩნდა გამომძიებელს ეჭვი, რომ ქალაქის „ფანტაზიორი" პარიკმახერი ამ საშინელი არსების კლანჭებში უნდა მოქცეულიყო და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ქალმა, არა თუ უარყო პეტერის მოკვლა, არამედ რაღაც სიამაყითა და ღიმილითაც კი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოუთხრო ის სასიყვარულო თავგადასავალი, რაც ჩვენ ზემოთ უკვე წავიკითხეთ.

თურმე:

ერიკას თავისი „მიღმიელი ბატონების" მითითებით გადაუწყვეტია, მისი და პეტერის სიყვარული „მარადიულად შეენახა" და ამ მიზნით ასეთი რიტუალი ჩაუტარებია „იმ საქმის" წინ:

ერთ მაგიურ საღამოს ერიკამ პეტერს განუცხადა, რომ დადგა ის დრო, როცა მათ „მარადიული სიყვარულისა და ახალგაზრდობის" მსახურება უნდა ჩაატარონ და საამისოდ ქალმა საგანგებოდ გაამზადა თბილი წყლითა სავსე უშველებელი აბაზანა, სადაც გასხივოსნებული სახით შეუძლვა „იმ საქმის" მომლოდინე გამოდებილებულ პეტერს. თუმცაღა, რა თქმა უნდა, თავისი მსხვერპლისათვის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ აბაზანის გვერდით თაროზე გიტარის სიმი აქვს გადამალული (...და გამზადებული!)

იმ საღამოს, აბაზანაში, სექსუალური „მსახურებაც" სათანადო დონეზე ჩატარებულა – თითქმის ორ საათს გაგრძელებულა და მაშინ, როცა საბრალო პარიკმახერი „შესაბამისი" აქტის „შესაბამის" მწვერვალზე მოქცეულა, ქალს ვერცხლის ფინჯანიდან სისხლი უპკურებია თვალებმინაბული პეტერისათვის და... იმავ წამს გიტარის სიმით ჯერ მოუგუდია და მერე სისხლიან წყალში ჩაუხრჩვია პეტერი...

ასე მიაღწია „მარადიულ სიყვარულს" ქალმა და მის სახსოვრად სხვა ოპერაციაც ჩაატარა: ყოფილ ქმარს ბენზინის ხერხი გამოართავა, პარიკმახერის თავი სხეულს განაშორა, სხეულა დახერხა, თავი კი საწოლის ქვეშ შეაგორა, რათა დროდადრო ფიზიკური „კავშირიც" ჰქონოდა თავის მარადიულ სატრფოსთან, ანუ (ერიკას სიტყვები):

„მე პეტერის თავი საწოლის ქვეშ მაქვს შენახული და მაშინაც კი, როცა მე სხვა მამაკაცთან ვარ, ვიცი, რომ პეტერი მიყურებს და ბედნიერია იმით, რომ მელოდება!"

**P.S.** №1 ***სამედიცინო კომისიამ ერიკა ბოზენი ფსიქიურად სრულიად ნორმალურად მიიჩნია და იგი ახლა წინასწარი პატიმრობის საკანში ელის განაჩენს, რომელსაც ფედერალური სამსახურის წარმომადგენელნი აგვიანებენ, რადგან გერმანიაში, დიდი ხანია, სიკვდილით დასჯა უარყოფილია...***

**P.S.** №2 ***ეს ამბავი ნამდვილად მოხდა და მის შესახებ მშრალ ინფორმაციას ერთ არაქართულ გაზეთში წავაწყდით, მცირეოდენი მხატვრულობა კი იმისათვის შევუთხზით, რომ მკითხველი უკეთ დარწმუნებულიყო იმაში, თუ რა უგნურებამდე შეიძლება მიიყვანოს სიყვარულმა კაცი და საკუთარი სილამაზისათვის ზრუნვამ ქალი...***

***და საერთოდ ყოველგვარი მარადიულობისაკენ სწრაფვა ეშმაკის კუდზე კუდისგადაფსკვნას მოითხოვს და ამიტომაც გირჩევთ თავი არიდოთ დროსთან ჭიდილს;***

***მშვენიერება წარმავალობაშია... ჩემის აზრით!***

ალ. ელერდაშვილი

პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული — იური გაბრიელიძე

# მესამე საკროსვორდო ჩემპიონატი 10 ტურად გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

მეორე ჩემპიონატის გამარჯვებულები: მარინე ხაჩირაშვილი და ვლადიმერ ყაჯრიშვილი

**მეორე ტური 100 სიტყვა ( 26 იანვარი — 9 თებერვალი)**

**პრიზი გამარჯვებულისათვის — 100 ლარი**





















**მეორე ტურის პასუხები გამოგზავნეთ არაუგვიანეს 9 თებერვლისა**

**საილუსტრაციო ბლოკი: კითხვები № 16 17 18 — იხილეთ ილუსტრაციები.**

**19**. ...მაშინ, როცა მოქმედების დაწყება დროული და სასურველია. **20**. მუსიკალური ტემპი; **21**. „შეყვარებული მდინარე“; **22**. უნებლიე შეცდომა. **23**. კედლის საყრდენი გათლილი ლოდი. **24**. ვინ იმალება კროსვორდის ჩარჩოს მიღმა? **26**. სტალინისაგან დევნილი ერთი-ერთი კომუნისტური ლიდერი. **27**. კვამლის, ნისლის და მტვრის „კოქტეილი“. **28**. (ციმბირელი) კინოპერსონაჟი ლუდმილა ჩურსინას რეპერტუარიდან. **31**. სამხედრო სასამართლოს (*ჩვენი კარნახი: დამრიგებლური ტონის... — რედ.*) განაჩენი 1720–1917 წლების რუსეთში. **32**. განსაკუთრებულად წარჩინებული ოსტატი... ფრანგული სამყაროდან. **33**. ავტორი მოთხრობისა „დუბლინელები“ (ქართული თარგმანი არსებობს). **34**. (ქალბატონი) წუწუნავა... ქართული კინოდან **39**. „ცხენის (უცნობი) შემკაზმველი“ ქართული კინოდან. **40**. ქართული (ხალხური) სათამაშო. **41**. სოლომან მორბელაძე და მისთანანი. **42**. მუსიკალური ცნება, რომელიც ფრანგულად „თანხმობას“ ნიშნავს. **43**. პურეულის სალეწი მოწყობილობა. **46**. ამკრძალავი ღონისძიების სახესხვაობა. **48**. კორიდაში მონაწილე მხედარი. **50**. სხეულის წონის შეფარდება იმავე მოცულობის წყლის წონასთან. **51**. ინერტული გაზი. **52**. სიგარეტიც, მოტოციკლეტიც, კუნძულიც... **54**. შვეიცარიელი დრამატურგი, ავტორი პიესისა „მოხუცი ქალბატონის ვიზიტი“. (*დაიდგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში — რედ.*) **56**. კულინარული ნაწარმი. **58**. ინგლისელი მწერალი ქალი (...და თანაც არაერთი). **60**. ჩვენს ენაში ერთობ ხმარებული სიტყვა. **63**. დიდებული მსახიობი მამაკაცი... ფრანგული კინოდან. **64**. XVIII–XIX სს. რუსი გამომგონებელი. **66**. თხის ტიპი... ქართული პედაგოგიკიდან. **67**. ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღი. **70**. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკურ-მაღალმთიანი ტბა. **72**. ცრემლმდენი საშუალება. **73**. ანტონი ვან ლევენჰუკის „პირმშო“. **75**. წყალთან მოპაექრე სუბიექტის „იმედი“. **77**. (ვინმე) ბულიჩოვი... რუსული ლიტერატურიდან. **79**. ვაჟასეული პერსონაჟი. **80**. მტკვრის მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე ერთი სახელის მქონე ორი „ობიექტი“. **82**. რა ჰქვია ფეხბურთს იტალიურად? **84**. შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი. **87**. მსახიობისათვის ყველაზე სასურველი „სუბიექტი“. **90**. ყველაზე ცნობილი ბენიამინო... მსოფლიო საოპერო ხელოვნებიდან. **92**. სამკურნალო წიგნი. **95**. თვისობრიობის მანიშნებელი მცირედი რამ. **96**. ტიპოგრაფიული დანადგარი. **97**. ფილმი (დროებით) გადედაკაცებული მამაკაცის შესახებ. **98**. კაჟიანი თოფის სახესხვაობა

## ჩემპიონატის ჩატარების წესები

1. ჩემპიონატი ტარდება 10 ტურად.
2. იმისათვის, რომ მონაწილეობა ჩაგეთვალოთ, საჭიროა პასუხების წარმოდგენა არანაკლებ 8 ტურში;
3. ყოველი სწორად ამოცნობილი სიტყვა 1 ქულაა.
4. მონაწილეობის კოეფიციენტი განისაზღვრება ასე: ქულების რაოდენობა გაიყოფა ჩათვლილი ტურების რაოდენობაზე.
5. პასუხები უნდა წარმოადგინოთ შემდეგი სახით: შეავსეთ (მხოლოდ) გაზეთში დაბეჭდილი ჩარჩო, ჩადეთ კონვერტში და გამოაგზავნეთ მისამართზე:

თბილისი, 380003, ალექსანდრე ელერდაშვილს, მოკითხვამდე (აუცილებელ შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონით, 74-64-80)

6. წარმოდგენილ პასუხებში მიუთითეთ თქვენი გვარი, სახელი, ტელეფონი და მისამართი;
7. გამარჯვებულისთვის დაწესებულია ერთი პირველი პრიზი 100 ლარის ოდენობით.
8. წესებში რაიმე ცვლილებების ან გადასხვაფერების შესახებ გაცნობებთ დამატებით.




თქვენი გვარი ____________

სახელი ____________

ტელეფონი
ან მისამართი ____________

## გასული ნომრის პასუხები

**თარაზულად:** 15. ფონიჭალა. 16. რქაწითელი. 17. აპოსტოლი. 19. მენჯი. 21. მკაფიო. 22. ხეცურიანი. 23. რეგისტრაცია. 24. ტახი. 25. არარატი. 26. ინდონეზია. 27. როტა. 28. გუდაური. 31, პინოქიო. 32. ინფრასტრუქტურა. 34. გიჟუა. 37. ბიოლი. 38. ოფთალმოლოგია. 41. მარლენ. 42. იორი. 46. გარაჟი. 47. ნეგოციანტი. 48. ზეგ. 49. კესო. 54. სტიპენდიანტი. 55. რაიკომი. 56. პალმა. 58. ადიღეა. 59. ევანსი. 60. ელარჯი. 61. ცხვირა. 63. აკვალანგისტი. 65. პოინტერი. 67. ეფრეიტორი. 68. ტურინი. 70. ავგია. 73. პოლიტოლოგია; 75. აგრონომია; 77. სოლომონი; 79. მიქსტურა. 82. ულტიმატუმი. 84. უნაპირო. 86. ერე. 90. ავტორიტეტი. 92. ოპორტუნიზმი. 93. პელენგაცია. 94. აგული. 95. კრინტი. 96. ტიმოთე. 97. ელფი. 98. გაბარიტი. **შვეულად:** 1. კონკურენცია. 2. სიმფეროპოლი. 3. ლაფონტენი. 4. ფაცხა. 5. გრიცენკო. 6. პატრიოტიზმი. 7. სირაძე. 8. მედიცინა. 9. ჰიჯრა. 10. გარგანტუა. 11. ფოქსტროტი. 12. ბლიცი. 13. ცენტრალური. 14., ოჯახური. 18. ტერიტორია. 20. ბაკურიანი. 29. ოქსფორდი. 30. ატრაქციონი. 33. ფოლკნერი. 35. ალბენა. 36. პროსპექტი. 39. აბჟანდაძე. 40. გოგნი. 43. აგენტი. 44. კალიმანტანი. 45. უტოპია. 49. კრიტიციზმი. 50. სტავროპოლი. 51. სპინინგი. 52. სინჯარა. 53. კარნავალი. 57. ლავანდა. 60. ელიბო. 62. ხროვა. 64. დისკომფორტი. 66. ევოლუცია. 69. რომანტიული. 71. ასტროლოგი. 72. ანარქისტი. 74. ილუზიონი. 76. რუმინეთი. 78. ატროფია. 80. სკოპლე. 81. ალეგრო. 83. ტოტემი. 85. პაპაია. 87. ბზა. 88. უნაბი. 89. სახრე. 91. ვეგა.

**1**. ვინ არიან ჩრდ. ამერიკის ახლანდელი ბატონ-პატრონები? (მრ.რიცხ.) **2**. ე.წ. „კომპიუტერული სამყარო“. **3.** აღდგომის წინადღეს კარდაკარ სიარული. **4. იხილეთ ილუსტრაცია**. **5**. სიტყვა „ხორვატია“ — მისი აბორიგენების ენაზე. **6**. მგზავრთა კეთილდღეობაზე მზრუნველი სუბიექტი. **7**. სავაჭრო დანიშნულების დოკუმენტი. **8**. პიროვნული ჯიბრი-დაპირისპირების სახესხვაობა.. **9**. ნივთიერებათა ცვლის ხელშემწყობი სითხე. **10**. ძველქართული ლიტერატურული ძეგლი. **11**. ისლანდიის პარლამენტი. **12**. ერთ-ერთი შვილისმკვლელი მამა... ლიტერატურიდან. **13**. „ბუნების მესაიდუმლე“ ინგლისელი მწერალი. **14**. ჩინეთის 1966 წლის კულტურული რევოლუციის ე.წ. „წითელი დარაჯები“ (მრ.რ.). **15**. ახლო წარსულის საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ლიდერი. **25**. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი. **29**. დავით გობეჯიშვილის, შაკილ ო'ნილის, ვასილ ალექსეევის, არნოლდ შვარცენეგერის და მისთანათა ზოგადი სახელი. **30**. ინგლისური ავტომობილი. **35**. სამოცდაათიანი წწ. ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი. **36**. ტკბილი ჩურჩულის სახესხვაობა. **37**. **იხილეთ ილუსტრაცია**. **38**. ბელორუსის სახალხო პოეტი. **44**. XIX ს. დომინიკანელი ეროვნული მოღვაწე, პრეზიდენტი. **45**. ძალიან წვრილი, ანუ როგორი? **47**. **იხილეთ ილუსტრაცია**. **49**. იაკობ ებერშტის, ოპერეტის გენიის, ფსევდონიმი. **53**. რა უნდა იყოს ლათინური „ხრჩობა“ მედიცინის ენაზე? **55**. სხვა სახელმწიფოში შეჭრილი ტერიტორიული ერთეული ამა თუ იმ ქვეყნისა. **57**. **იხილეთ ილუსტრაცია**. **59**. სიძველესთან დაკავშირებული ცნება. **61**. რევოლუციურ მოძრაობაში იძულებით ჩართული ქართველი გლეხი... ლიტერატურიდან. **62**. სატრფიალო ურთიერთობის ასაკსმიღწეული გოგონა (ძველებური ქარგონის ენეზე). **65**. ქართული ხალხური თამაში. **68**. ფსიქოლოგიური შემოწმების საშუალება. **69**. ეფექტურ-აფექტური ცხოვრების მოყვარული ანუ როგორი (კაცი)? **71**. კონსტანტინე ტრენევის ცნობილი პიესის მთ. პერსონაჟი ქალის გვარი. **74**. თეატრალურ-სანახაობითი „პუბლიკაცია“. **76**. სამეგობრო ურთიერთობისათვის შემზადებული ყმაწვილი. **78**. ცნობილი საერთაშორისო ფონდის (მოსაპოვებელი) პრემია. **79**. ზღაპრული გოგონა. **81**. ავტორი რომანისა „ჟან-კრისტოფი“. **82**. ჩრდ. ამერიკაში მობინადრე მგელი. **83**. სახელი ერთი კოლორიტული პერსონაჟისა „მთვარის მოტაცებიდან“. **85**. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: „შენ რიოში ხარ, როგორც ??????, და ჩემს სიყვარულს არ უხდი ღალას“. **86.** არაბული სახელმწიფოს დედაქალაქი. **88**. ესპანეთის ეროვნული გმირი. **89**. „აღზრდის“ (თითქმის) ტრადიციული მეთოდი. **91**. სიტყვა „მადა“ — ძველთბილისურად. **93**. რა არის „ზერო“? **94**. აღტაცება-მოწონების შორისდებული.




## ფრაგმენტები მისი ცხოვრებიდან

...19 წლის ასაკში ხულიო კემბრიჯის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა; ამავე დროს წარმატებით იცავდა მადრიდის „რეალის" კარს...

...1963 წელს ხულიო საკუთარი „რენო"-თი ბარსელონაში ხეს შეეჯახა. მას სამუდამო ინვალიდობას უწინასწარმეტყველებდნენ; სწორედ ავადმყოფობისას, კლინიკაში იმღერა ხულიომ პირველად და ასე იშვა მომღერალი ხულიო იგლესიასი...

...1967 წელს ხულიო ფეხზე წამოდგა, იმავე წელს ინგლისში ფართო მაყურებლის წინაშე შეასრულა თავისი პირველი პოპულარული კომპოზიცია კუბური „გუანტამეირას" თემებზე; ასე დაიწყო დიდებული კარიერა.

## ჩვენ კი „ხულიო და ქალების" თემა გვაინტერესებს

მის შესახებ უამრავი ლეგენდა დადის. ბევრი მისი თაყვანისმცემელი ამტკიცებს იმას, რომ ხულიოს მიერ ცდუნებულ ქალთა რაოდენობა სამი ათასსაც კი აღწევს და რომ იგი ამ მონაცემებით ბევრად უსწრებს დონ-ჟუანსა და კაზანოვას ერთად აღებულთ. ესპანური გაზეთები იმასაც კი წერდნენ, რომ მოსკოვში მისი გასტროლებისას 1995 წელს რუსეთში ჩატარდა „ქალთა ლატარია", რომლის გამარჯვებულსაც უფლება ეძლეოდა სამი დღე-ღამე გაეტარებინა ხულიო იგლესიასთან.

თავად მომღერალი ამგვარი ამბების მოსმენისას მხოლოდ იღიმება, თუმცა არ მალავს იმას, რომ მსგავსი ჭორები სიამოვნებს. „ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მონაგონია" — განაცხადა მან ერთხელ — „მაგრამ ეს ყველაზე სასიამოვნო ტყუილია, რაც კი ოდესმე ჩემს შესახებ მომისმენია.



# XX საუკუნის დონ-ჟუანი

სხვა ინტერვიუში კი თავისი სატრფიალო თავგადასავლების შესახებ ხულიომ აღნიშნა: „რა სექსზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა მე ზოგჯერ იმის დროც კი არ მრჩება, რომ ტუალეტში შევიდე".

ხულიოს მეგობრები ხუმრობით აღნიშნავენ, რომ ერთადერთი არსება, რომელიც მომღერალს უკვე 16 წელიწადია უყვარს, ეს არის ძაღლი, სახელად „ჰეი". მის გარდა, იგლესიასს კიდევ სამი პოინტერი ჰყავს, მაგრამ „ჰეი", პატრონის თქმით, ყველაზე ლოიალურია მის მიმართ. ამ ძაღლმა მომღერალთან ერთად მთელი მსოფლიო შემოიარა. „მე მას მრავალი სიმღერა მივუძღვენი — არ მალავს გრძნობებს ხულიო — ეს ძაღლი ყოველთვის ჩემს მხარეზეა".

***თუმცა, რა თქმა უნდა, ხულიო ბერის მსგავს აღკვეცილ ცხოვრებას არ ეწევა ისევე, როგორც ნებისმიერი ესპანელი...***

## სატრფიალო ქრონიკები

1979 წელს ხულიო გაშორდა თავის ულამაზეს ფილიპინელ მეუღლეს, ისაბელ პრეისლერს. იმის გამო, რომ ხულიო და ისაბელი კათოლიკეები არიან მათი შვიდწლიანი თანაცხოვრების დარღვევის გადაწყვეტილება ვატიკანში მიიღეს. გასული წლის ივნისში კი ინგლისში გამოვიდა ჟურნალისტ დაფი ლოკერის წიგნი, სადაც ისაბელი იგლესიასთან გატარებულ საკუთარ ცხოვრებას ჯოჯოხეთს ადრის და ამტკიცებს, რომ ქმარი მას გამუდმებით ამცირებდა და შეურაცხჰყოფდა; თუმცა ესპანეთის სააგენტო „EFE"-სთან მიცემულ ინტერვიუში პრეისლერმა ყოველივე ზემოთქმული უარყო და ურცხვ ტყუილად მონათლა. „მე არასოდეს მქონია სურვილი, ოცი წლის შემდეგ ჩემი და ხულიოს ქორწინებას ჩრდილი მივაყენო. მე კვლავაც აბსოლიტურად ნორმალური ურთიერთობა მაქვს ყოფილ მეუღლესთან. რაც შეეხება ჩვენს განქორწინებას, ამის მიზეზი არის არა შეურაცხყოფა, არამედ ხულიოს ღალატი..." — განაცხადა ისაბელმა. ეს ქალი არასოდეს დაცემულა ისე, რომ ქმრის საყვარლებთან საჯაროდ დავა გაემართა და მათი ვინაობა დაესახელებინა; ამას მის ნაცვლად ბულვარული გაზეთები აკეთებდნენ. ეს გაზეთები ჭორ-მართლის დონეზე ხულიო იგლესიასის სექსუალური ცხოვრების „ანთოლოგიასაც" კი ქმნიდნენ. თუ დავუჯერებთ მათს მონათხრობს, ხულიოს სარეცელი გაზიარებული აქვთ ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ლამაზმანს; რეპორტიორების მტკიცებით მომღერალი უპირატესობას, სილამაზესთან ერთად, სიმდიდრესაც აძლევდა. ასე მაგალითად იყო ინფორმაცია, რომ იგლესიასის სატრფო თავად მარია კონჩიტა ალონსო, ცნობილი კუბელი მსახიობი, იყო; ბევრი რამ არის ნათქვამი, აგრეთვე, იმ რომანტიული უიკ-ენდების შესახებ, რაც ხულიომ კუნძულ ტაიტიზე გაატარა კოლუმბიელ მსახიობ ვაიტიარესთან; ვენესუელელ ვირგინიასთან კი — თურმე უიღბლო სიყვარულიც კი ჰქონია გაბმული ჩვენი პუბლიკაციის გმირს.

**„კარგად გატარებული ღამე ჩემთვის არის არა ლამაზი ქალი, არამედ მეგობრებთან ვახშამი და წითელი ღვინო. სიყვარული მე უფრო სცენაზე მიყვარს, ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც მთელი ჩემი არსება განიცდის უცნაურ მდგომარეობას, სიგიჟესთან გათანაბრებულს. მე ცხოვრებაში ორი თუ სამი სიყვარული მქონდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იდგა პირველ ადგილზე"**

***ხულიო იგლესიასი***

## უკანასკნელი სიყვარული?!

ხულიო იგლესიასის უკანასკნელი გატაცება ყოფილი მანეკენი მირანდა რინსბურგერი (28 წლის) გახლავთ. ეს ქალი მომღერალმა ჰოლანდიაში გაიცნო და, აგერ, უკვე 6 წელია არ შორდება მას. ჯერ-ჯერობით ქორწინებაზე ლაპარაკი არ არის, თუმცა ისინი დანიშნულები არიან და ბავშვსაც ელოდებიან *(ეს წერილი გამოქვეყნდა მაშინ, როცა ბავშვი ჯერ დაბადებული არ იყო — „ფანტ". რედ.)* ჭორების მოყვარულები ასეთ ინფორმაციას ფლობენ, რომ თურმე მირანდას უცნაური პირობა წამოუყენებია — ქორწინებაზე მხოლოდ მშობიარობის შემდეგ დაგთანხმდებიო.


ხულიო და მირანდა

ასე თუ ისე, ხულიოს სატრფიალო თავგადასავლებს ბოლო არ უჩანს.

## ხულიოს კონკურენტი — საკუთარი ვაჟი

ისაბელისაგან იგლესიასს სამი შვილი ჰყავს: ქალიშვილი ჩაბელა (მუშაობს მაიამის ტელევიზიაში) და ორი ვაჟი — ხულიო-ხოსე (მანეკენი და მსახიობი, ჰოლივუდში კარიერის მოსურნე) და ენრიკე (მომღერალი).

გაზეთებში ხშირად ჩნდება ინფორმაცია ხულიოს არაკანონიერი შვილების შესახებ, მაგრამ მისი მამობა ჯერ ვერცერთმა უკანონოდ შობილმა ვერ დაამტკიცა. ამასობაში კი კანონიერი შვილი, ენრიკე მამის კვალს მიჰყვება და წარმატებით უწევს კონკურენციას მას, იგი ესპანეთში არანაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე საკუთარი მშობელი. უკანასკნელ დროს ენრიკეს სახელი უფრო ხშირად მოიხსენიება მუსიკალურ ჟურნალ „ბილბორდში", ვიდრე ხულიოსი.

გასული წლის ივნისში კი მამასა და შვილს შორის ნამდვილი შემოქმედებითი ომი გაიმართა. ხულიოს ერთხელ პრესაში წამოსცდა: „ენრიკეს საერთოდ არ შეუძლია სიმღერა". აღშფოთებულმა ვაჟმა განაცხადა: „მე ახლა მამაჩემზე პოპულარული ვარ, ათი წლის შემდეგ კი მასზე ბევრად უკეთესად ვიმღერებ". შეჯიბრი დაიწყო იმით, რომ გაირკვა — უკანასკნელ წელს ესპანეთში ენრიკეს 9 მილიონი ფირფიტა გაიყიდა, ხულიოსი კი მხოლოდ 5 მილიონი. ამას მოჰყვა მამაშვილის საკონცერტო ტურნე ესპანეთის ქალაქებში, რომლის დამთავრების შემდეგ მადრიდის აეროპორტში ენრიკეს 700 ფანატი დახვდა, ხულიო კი მარტოდ მიაბიჯებდა თვითმფრინავის ტრაპიდან შენობამდე...

## ეპილოგი

მომღერალი უკვე 13 წელია მაიამიში ცხოვრობს და ახლა აპირებს ესპანეთში დაბრუნებას რათა, თავისი ქვეყნის ბუნებასთან ჰარმონიაში იცხოვროს.

„მე დარწმუნებული ვარ — ამბობს ხულიო იგლესიასი — რომ ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს წარმოაჩენს ისეთს, როგორიც უნდა იყოს იგი"

„7 Дней"-ს მიხედვით

ტესტი ჭკუისკოლოფთათვის

# ძველნები და ჩვევები

**1. რა უნდა გახსოვდეთ ინდონეზიაში ყოფნისას?**

*A. გზაზე გადასვლისას მარჯვნივ უნდა იყუროთ.*

*B. თავი უნდა შეიკავოთ სიტყვებისაგან „მარჯვენა“ და „მარცხენა“.*

*C. მისალმებისას უნდა გაუწოდოთ მარცხენა ხელი.*

**2. XV საუკუნის ინგლისში კანონით ისჯებოდა...**

*A. ბანქოს თამაში.*

*B. კოცნა საზოგადოების თავშეყრის ადგილას.*

*C. დუელი.*

**3. ლიტვის დედაქალაქის სახელი ნიშნავს:**

*A. თავისუფლებას.*

*B. პირველაღმომჩენს.*

*C. ტალღას.*

**4. რას უშვებოდნენ ძველი რომაელები ლომს, რომელსაც წინასწარ დაინთრობდნენ...**

*A. ფორუმზე გამოჰყავდათ.*

*B. კოლიზეუმის არენაზე უშვებდნენ.*

*C. სიცოცხლეს უსპობდნენ.*



**5. ესპანეთისეროვნულ ჰიმნს არ მღერიან იმიტომ, რომ**

*A. მას სიტყვები არ გააჩნია.*

*B. სისულელედ ითვლება.*

*C. მიღებული არ არის.*

**6. გამოიცანით, რა ჰქონდა პირში ახლადშობილ ლუდოვიკო XVI-ს?**

*A. კბილები.*

*B. მარჯვენა ფეხი.*

*C. ვერცხლის კოვზი.*

**7. რა ენაზე ლაპარაკობენ ფარერელები?**

*A. ინგლისურად.*

*B. შოტლანდიურად.*

*C. ფარერულად.*

**8. XVII საუკუნის ინგლისში არისტოკრატები საკვებად გამოიყენებდნენ:**

*A. კიბორჩხალებს.*

*B. შემწვარ ძროხის ხორცს.*

*C. ხამანწკებს.*

**9. XVIII საუკუნის ინგლისში სად ჰკიდებდნენ წითელ ფანარს?**

*A. ობოლთა თავშესაფართან.*

*B. ექიმის სახლთან.*

*C. ფუნდუკის კართან.*

**10. რას უშვებიან ლაყე კვერცხებს აღმოსავლეთ ჩინეთის მცხოვრებნი?**

*A. საკვებად გამოიყენებენ.*

*B. ესვრიან უნიჭო მსახიობებს.*

*C. სახლის მოსართავად იყენებენ.*

**11. მეკობრეების რომელი მეთაური გახდა შემდგომში იამაიკის ვიცე-გუბერნატორი?**

*A. მორგანი.*

*B. დრეიკი.*

*C. კინგსტონი.*

**12. კლიენტურის მისაზიდად ინგლისელი მეფუნდუკეები ფუნდუკის კართან ჰკიდებდნენ:**

*A. ალვის ტოტს.*

*B. დაფნის გვირგვინს.*

*C. ღორის ბარკალს.*

**13. ერთი შუასაუკუნეებში მცხოვრები ესპანელი დედოფალი, სანამ მისი ქმარი სამი წლის განმავლობაში იბრძოდა...**

*A. თმას არ იჭრიდა.*

*B. პერანგს არ იცვლიდა.*

*C. სასახლიდან გარეთ არ გადიოდა.*

**14. ირანში „მწვანე სახლს“ უწოდებენ...**

*A. სასაფლაოს.*

*B. საგიჟეთს.*

*C. შაჰის სასახლესთან არსებულ პარკს.*

**15. ინდიელები „ყვითელ ქალს“ უწოდებენ...**

*A. ოქროს მონეტას.*

*B. მზეს.*

*C. მთვარეს.*

**პასუხები შემდეგ ნომერში**

## აჯაფსანდალი



**თარაზულად**: 4. დავიროფრ; 8. ტილენამპარ; 10. პიტამშ; 11. ნარეროტიბუგ; 12. ცინპრი; 13. ძირთე; 14. თუთასი; 16. კალიბვუგო; 18. პომიქა; 21. ზალიაციცივი; 24. სინვეკა; 25. ჯიხრა; 26. მაიქი; 27. ტელაპი; 31. პომალიტადი; 34. ინტერემო; 35. მეორო; 36. კოლა; 37. ხეძარამა;

**შვეულად**: 1. კურინიაბა; 2. ინტერკულა; 3. თიამანა; 4. დროიფი; 5. ტოროლევა; 6. თუნერიმი; 7. ცაიტივაინი; 9. სურინატიო; 15. სიმალი; 17. ვიალუ; 18. ნოპი; 19. კოქიე; 20. ზარმე; 21. ხეცი; 22. დრეივ; 23. ცინილიაი; 27. ზოპრა; 28. ტვალი; 29. ფრატუ; 30. ბოიჰო; 31. რიდე; 32. მუპა; 33. კარა;

## გასული ნომრის პასუხები:

(პირველი გვერდი)

**თარაზულად**: 3. პადრე; 8. დოვლათი; 9. მერკური; 10. ნინია; 11. სადახლო; 12. დესპანი; 13. ქაცეი; 14. დარიოსი; 17. ნიგერია; 21. კოსტაია; 22. სერვანტი; 23. პროსპერი; 25. ვლახეთი; 28. ეპარქია; 31. ბაგრატი; 34. მჯიდი; 35. კლინიკა; 36. ლამპარი; 37. რიოში; 38. სტიმული; 39. სარდელი; 40. არილი; **შვეულად**: 1. ჩოჩარა; 2. ულვაში; 3. პინოქიო; 4. დონიცეტი; 5. ემადინი; 6. სკოპლე; 7. კრინტი; 14. დარსაძე; 15. რეპრიზა; 16. სკანავი; 18. იაპონია; 19. როდეზია; 20. არტისტი; 24. სხვიტორი; 26. ლამარია; 27. თბილისი; 29. პალატა; 30. რენომე; 32. გომური; 33. ტოროლა;

(კროსგიგანტი)

**თარაზულად**: 1. ჭკუამხიარული; 9. ანძა; 11. ასკინკილა; 13. ნორმარული; 15. ქირია; 16. ჟირაფი; 17. აჩუა; 20. რეორგანიზაცია; 22. ტბა; 23. ნეკროლოგი; 27. მატეო; 29. ბის; 30. ლიეპა; 32. ლინფილდი; 35. ერი; 37. ლენა; 38. ბრის; 41. ბასა: 42. როლი; 43. ლოსაბერიძე; 46. ბენ; 47. ევერესტი; 50. ღრმული; 52. ფარა; 53. კვადრატი; 55. კიმ; 56. ნოი; 57. უხიფათო; 59. იბადანი; 62. იდიში; 63. ანალოგი; 64. აცანა; 66. ცენტნერი; 67. ამერიკა; 69. ორმოცი; 72. რუი; 74. გაორება; 77. ემალი; 78. ეკა; 80. კაბარე; 81. რევერანსი; 83. სტეპი; 85. პარიზი; 87. კოჩეტკოვი; 89. ექო; 90. უბე; 91. ოჯახი; 92; ლევ; 93; გიტარა; 95;. რუისი; 98. ადეკვატური; 102. გამობრძმედილი; 104. შარსან; 106. აროჩი; 108. ტინიანოვი; 109. ზუბალაშვილი; 112. ომი; 113. ბოძება; 114. რაინისი; 115. ოროველა; 117. წიდა; 118. იარალი; 119. ორბი; 121. რუხი; 122. რიო; 124. ანარეკლი; 126. სიცილია; 128. მარილი; 129. შურთხი; 131. ირიდა; 133. კიო; 134. ვორდი; 135. მეხრე; 136. ლოპესი; 137. შარდენი; 139. მაკაროვა; 140. ნენსი; 141. ვანია; 142. სკრა; 143. მარლენ; 145. სტრიპი; 147. ხიზილალა; 148. რილეევი; 149. ბოინგი; 150. პაკო;

**შვეულად**: 1. ჭანარი; 2. უარყოფა; 3. მქარგველი; 4. იგუანა; 5. ლაქუცი; 6. უსი; 7. ანჟუ; 8. აკია; 9. ალაო; 10. ნაფოტი; 11. არლანი; 12. კაა; 14. იეზიდი; 18. ჩარლი; 19. გასტრონომი; 21. პოპესკუ; 24. ესე; 25. ლელა; 26. განა; 28. ოისტრახი; 31. ტერმინატორი; 33. ფალსიფიცირება; 34. ლესი; 36. რაი; 38. ბლეფი; 39. რივა; 40. ჰერაკლე; 41. ბერტა; 44. ოტია; 45. ძლაბი; 46. ბიკინი; 48. ერუდუცია; 51. მიდამო; 53. კონტრა; 54. რიგი; 58. თანავარსკვლავედი; 60. აცე; 61. ნარი; 65. უმი; 68. არხი; 70. რუსე; 71. იროკეზები; 73. საკე; 74. გაერო; 75. რარიტეტი; 76. ბანჯო; 77. ექსპროპრიაცია; 79; კრაკოვი; 82. ვიჩუგა; 84. ირტიში; 86. პელენგატორი; 88. ფალიაშვილი; 94. ადამოვი; 96. მოდი ვენახოთ ვენახი; 97. ურანოსი; 99. დენი; 100. აისბერგი; 101. უხილავი; 103. ძრომიალი; 105. ნავრატილოვა; 107. ეშელონი; 110. უძო; 111. აბო; 113. ბელელი; 116. არალი; 117. წიე; 120. ბრილიანტი; 121. რიუნოსკე; 122. რაიმე; 123. ომახიანი; 124. არტემიდე; 125. კოკროჭინა; 126. სირინოზი; 127. ცაიში; 130. ხოსე; 132. დენვერი; 136. ლესია; 138. რეალი; 143. მაო; 144. რანგი; 145. სვე; 146. იკო;

(სპორტული კროსვორდი)

**თარაზულად**: 5. გოლეადორი; 10. ბეკენბაუერი; 11. ლონდონი; 12. რეხვიაშვილი; 14. გოიკოეჩეა; 16. მაილსი; 17. ძოძუაშვილი; 20. მეკარე; 23. ორტეგა; 24. ლუისი; 25. სალენკო; 26. ლეგია; 28. კიი; 29. კრივი; 31. შაელო; 32. მოლდოვა; 35. იონკი; 36. სმეტანინა; 39. არგო; 41. იუვენუსი; 43. რაგბი; 47. პეტროვი; 48. ანგარიში; 49. მეანი; 50. ბაირონი; 51. კიევი; 52. კანიჯა; 53. გოგიჩაიშვილი; 56. ჩიხლაძე; 58. რეალი; 61. მილა; 63. ევანი; 64. რაი; 65. ბაკურიანი; 67. ოლიმპიადა; 68. ნავრატილოვა; 69. მექსიკა;

**შვეულად**: 1. ჩელებაძე; 2. მეძველია; 3. ებრალიძე; 4. ცურვა; 5. გილიგაშვილი; 6. ლენტინი; 7. ამორო; 8. ომი; 9. იგიტა; 13. იაკუშინი; 15. ჩერენკოვი; 18. ირლანდია; 19. ლაციო; 20. მოსეშვილი; 21. კოლივანოვი; 22. რინკონი; 24. ლოკო; 27. გრონინგენი; 30. ვესტი; 33. სმისლოვი; 34. გიორგი; 37. აფრა; 38. სტატიბა; 40. რევიშვილი; 42. ესპანიოლი; 44. ინალიშვილი; 45. ტიროლი; 46. ამოკაჩი; 48. არიკა; 53. გერმანია; 54. იამანიძე; 55. ისლანდია; 57. ხარკოვი; 59. არიგო; 60. იებოა; 62. ფრთა; 65. ბენე; 66. ჯიპი;



# თარაზულად:

1. აღმოსავლეთის სამყაროს ყველაზე დიდი მოგზაური; 7. ალექსანდრეს ერთ-ერთი კნინობითი ვარიანტი; 11. ერთგვარი თეთრი კრისტალური ნივთიერება; 13. რა ქალაქი აერთიანებს ძველ ეგვიპტეს და თანამედროვე აშშ-ს? 14. არსებულ წყობილებასთან უმძრახად მყოფი ადამიანი; 15. ქალაქი შუამდინარეთში, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — პირველი მავზოლეუმი აიგო; 16. ჯოჯოხეთთან დაკავშირებული არარეალური არსება; 18. კ.გამსახურდიას რომანის, „ვაზის ყვავილობის“ მთავარი პერსონაჟის გვარი;



19. უკეთური ქმედების სახესხვაობა; 20. თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბანი; 22. რუსი მომღერალი, რომელსაც არარუსობასაც აბრალებენ. 23. კომედიის მუზა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში; 26. რა აქვთ საერთო მამაკაცის გარდერობს და შიგაწვის ძრავას? 28. ავტორი რომანისა „მრისხანების მტევნები“; 29. კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი; 32. ოტია ქამუშაძის მეუღლე; 34. ადამიანის კისრის აგდებული მოხსენიება; 36. ცნობილი სოფელი მარტვილის რაიონში; 37. ცრემლების გამოსანასკვი ადგილი (პოეტ.); 38. 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვაჟი სიმაღლეზე ხტომაში; 39. კაზანოვასა და დონ-ჟუანის ერთ-ერთი კოლეგა; 40. ხელოსანთა გაერთიანება ძველ თბილისში; 41. წიგნი, რომელსაც ჭამის წინ კითხულობენ; 44. კაცობრიობისათვის ცნობილი ერთ-ერთი დიდ იტალიელთაგანი; 46. სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნა; 49. ყველაზე „ცისფერი“ მდინარე; 50. ლექსი, სადაც სტრიქონების პირველი ასოები რაიმე ახალ წაკითხვას გვაძლევს; 51. სივრცეში გადაადგილების სახესხვაობა; 52. ყველაზე ცნობილი ქისტი ქალი ქართულ ლიტერატურაში;

# შვეულად:

1. დღევანდელობის ყველაზე ოლიმპიური ქალაქი; 2. რა მოეძალება ხოლმე ადამიანს სამშობლოდან შორს ყოფნისას? 3. თამაში, სადაც ბურთი არ გამოიყენება; 4. მილმიერი სამყაროს „ყველაზე კარგი მცოდნე“ იტალიელი პოეტი; 5. ზღვასთან დაკავშირებული თანამდებობა ძველ საქართველოში; 6. ასაფეთქებელი მოწყობილობა; 7. კინოპერსონაჟი „ქეთო და კოტედან“; 8. აღმოსავლეთის ერთ-ერთი სამყაროს თვითმპყრობელური ტიტული; 9. ქალაქი დასავლეთ ჩინეთში; 10. ჰიტლერისათვის „ყველაზე საყვარელი“ გვარი; 11. საწარმოთა გაერთიანება (კროუფორდის მონაწილეობით); 12. ერთ-ერთი რიგითი საკვები; 13. სასულიერო პირთა ინვენტარი კათოლიკურ სამყაროში; 17. ადამიანის ფსიქიკასთან დაკავშირებული ცნება; 20. პოპულარული იტალიელი კინორეჟისორი; 21. რა აკლია ზღვას ერთი ხატოვანი გამოთქმით?



24. ავტორი რომანისა „ქალი ქვიშაში“; 25. არამატერიალურ სამყაროსთან დაკავშირებული მეცნიერება; 27. მწერალ ჯონ გრიფიტის ძალზედ ცნობილი ფსევდონიმი; 30. მუსიკალური ნაწარმოების მთავარი თემა; 31. სავაჭრო ურთიერთგარიგებასთან დაკავშირებული ცნება; 32. ყველაზე ცნობილი მჭედელი ქართულ კინემატოგრაფიაში; 33. ყველაზე ცნობილი (ბატონი) ხაჩატურიანი; 35. გერმანული ავტომობილი; 36. აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი არქიტექტორი; 41. მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფო; 42. ქართული თეატრისა და კინოს დიდებული კომიკოსი; 43. ტვირთის გადასატანი საშუალება; 45. გერმანიის სამრეწველო რეგიონი; 46. შოთა არველაძის პორტუგალიელი კოლეგა ამსტერდამის „აიაქსში“; 47. რძის „მწარმოებელი“; 48. იგივეა, რაც რეპატრიაცია;



# შარონ სტოუნი

# ილუსტრირებული სუპერკროსვორდი

**თარაზულად:** **4**. გვინეის დედაქალაქი. **8**. თანამედროვე კინოს უდიდესი ფანტაზიორი. **13**. **იხილეთ ფოტო** (გვარი). **15**. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. **16**. ე.წ. „სანახაობათა მილაკი". **17**. აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტი. **21**. უკანასკნელი ოცწლეულის უდიდესი პოლიტიკოსი ქალი. **22**. ვინ იყო მერი ზურიკელასათვის ფოსტალიონთა ენაზე? **24**. **იხილეთ ფოტო** (რომანის პერსონაჟი). **25**. **იხილეთ ფოტო** (სახელი); **26**. მსოფლიო ჩოგბურთის ახლო წარსულის ლიდერი; **27**. რეჟისორი ფილმისა „რომეო და ჯულიეტა". **28**. იგივეა, რაც ცუდი, უკადრისი; **29**. ნორჩ ქართველ ფეხბურთელთა „საყვარელი" მტაცებელი ცხოველი; **30**. მამაკაცების „რა" უნდა გაწყდეს ცქრიალას აზრით? (კ/ფ „ჭრიჭინა"); **31**. ზუსტ მეცნიერებათა „ლიდერი"; **35**. მისტერ გრინი, ინგლისელი მწერალი (1904-1991); **36**. ჰოლივუდის თანამედროვე ვარსკვლავი „თორმეტი მაიმუნიდან"; **37**. ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი; **39**. 50-იანი წლების რუსული კინოს ერთ-ერთი „გეროი"; **40**. ფულის, ასე ვთქვათ, „პოპულარიზება"; **43**. ერთ-ერთი რელიგიის საკანონმდებლო წიგნი; **44**. იგივეა, რაც მსხვერპლი (ძვ.) **45**. **იხილეთ ფოტო** (გვარი); **46**. ქალაქი-სიმბოლო ლონდონის სიახლოვეს. **48**. ტიპიურად ესპანური ქალაქი; **49**. (თითქმის ერთადერთი) საბჭოური ილუსტრირებული ჟურნალი; **51**. გამოჩენილი რუსი ფერმწერი-პერედვიჟნიკი (1860-1900); **52**. რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „ალისფერი აფრები"; **53**. გამოჩენილი ქართველი მხატვარი (...და პოეტი); **54**. **იხილეთ ფოტო** (კინოპერსონაჟი); **55**. ინდიელთა ნავი; **56**. კამპუჩიის დედაქალაქი; **57**. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; **62**. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი; **64**. ტექნიკური სითხე, რომელიც ფართოდ გამოიყენება საღებავებისა და ქაღალდის დამზადებაში; **65**. თანამედროვეობის ლიდერი-სახელმწიფოს „მოფერებითი სახელი"; **66**. რა ერქმეოდა ჯექსონს გურჯაანში რომ დაბადებულიყო; **68**. 1952 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი; **70**. **იხილეთ ფოტო** (გვარი); **72**. გოგოლის ცხობილი სატირული მოთხრობა; **74**. ძველებური საარტილერიო დანადგარი; **75**. რა არის ეს: „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი"? **78**. ჰერას და იუნონას ძველეგვიპტელი ფუნქციონალური კოლეგა; **81**. რა არის ტელეანძა თავისი არსით? **82**. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ტენორი; **83**. როგორი ადამიანი იყო ლუარსაბი? (თათქარიძეზე მოგახსენებთ!); **87**. (იმავე ლუარსაბის საყვარელი) მისამღერი სიტყვა; **89**. ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქი (ტირეებს ნუ ჩაწერთ!); **91**. რა ჰქვია თბილისში განლაგებულ „BMW"-ს ცენტრს? **92**. წამქეზებლობის ერთ-ერთი მეთოდი; **95**. ქალაქი ციმბირში; **96**. საკვები ბალახი; **97**. გაუცხოების ბუდისტური მეთოდი; **98**. **იხილეთ ფოტო** (სახელი); **99**. **იხილეთ ფოტო** (რომანი გმირი); **101**. დამწყები კომუნისტების საოცნებო სამუშაო ადგილი; **102**. იგივეა, რაც მარჯვე, მოქნილი; **103**. **იხილეთ ფოტო** (გვარი); **104**. საბჭოური იუმორის ცენტრი; **105**. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; **106**. დღე-ღამის მონაკვეთი.












**შვეულად:** **1**. ყველაზე დიდცხვირა კინოვარსკვლავი; **2**. დიდებული ქართველი კალათბურთელი, მეტსახელად „პტიცა". **3**. **იხილეთ ფოტო** (სახელი); **4**. **იხილეთ ფოტო** (გვარი); **5**. თანამედროვე რუსი მსახიობი „სამსახურეობრივი რომანიდან"; **6**. ჩვენთან დაბრუნებული საზ.-ეკონ. წყობა; **7**. ცენტრალური ამერიკის საკურორტო ნახევარკუნძული; **9**. XX საუკუნის უდიდესი საბჭოელი ფიზიკოსი; **10**. XX საუკუნის უდიდესი დანიელი ფიზიკოსი; **11**. (მუსიე) კლერი, უდიდესი ფრანგი კინორეჟისორი; **12**. „სკამების მოყვარული" ფაინზილბერგის ლიტ. ფსევდონიმი; **14**. რა აკავშირებს მეცნიერსა და აღმოჩენას საწყის ეტაპზე? **17**. **იხილეთ ფოტო** (გვარი, 1830-1886); **18**. ვინ შეიძლება გაახსენდეს კაცს სოლომანის ხსენებისას? **19**. მიწის გადასახადი (სიდამპლესთავდაღწეულ) კაპიტალისტურ სამყაროში; **20**. **იხილეთ ფოტო** (გვარი); **23**. საერთო გვარი რუსული ეროვნების ორი მწერლისა და ერთი დრამატურგისა; **29**. ამაღლებული ადგილი ძველბერძნულ ქალაქებში. **31**. ნაგებობის ჩანასახოვანი იერსახე; **32**. რა უნდა დაიჭიროს კაცმა ყველა საქმის წინ? **33**. ტბა აშშ-ს დიდი ტბების სისტემიდან; **34**. რა არის ჭამა „Colgate"-ის მომხმარებელთა აზრით? **36**. კაცობრიობის გარიჟრაჟის ნახევარადამიანი; **37**. რა ამშვენებს ხშირად ქალაქის ცენტრალურ მოედნებს? **38**. მხოლოდ ქალებთან დაკავშირებული გამთანაბრებლური მოძრაობა; **41**. თანამედროვეობის გამოჩენილი რუსი მევიოლინე; **42**. ერთი რუსული საბავშვო ზღაპრის ზარმაცი და უცოდინარი პერსონაჟი; **46**. **იხილეთ ფოტო** (საფეხბურთო ამპლუა); **47**. პიონერთა ერთ-ერთი აღსაზრდელი რიტუალი-საშუალება; **49**. „ჩვენი წინაპრის" ერთ-ერთი თანამედროვე ტიპი; **50**. საკუთარი სახელების შემსწავლელი მეცნიერება; **58**. სამწნილე ბალახი; **59**. (სინიორ) დე სიკა, იტალიური კინოს მშვენება; **60**. საქართველოს ფლორის დედოფლის ნაყოფი; **61**. სადაურია ყოველი მეხუთე დედამიწელი (სადაურია-მეთქი?); **63**. რაიცენტრი დასავლეთ საქართველოში; **66**. რა უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს ცხოვრებაში? **67**. დასავლეთ საქართველოს (კიდევ ერთი) რაიცენტრი; **69**. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა; **71**. „ბედის ირონიით" საბჭოელ პრიმადონად ქცეული პოლონელი ქალის სახელი; **73**. **იხილეთ ფოტო** (სახელი); **75**. წარსულის ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე-დიდოსტატი; **76**. XX საუკუნის უდიდესი რუსი კინორეჟისორი; **77**. ძაღლის ჯიში; **79**. ქალაქი-სახელმწიფო აზიაში; **80**. გრუნტის ხელოვნური საფარი; **84**. თანამედროვე ესპანელი ფეხბურთელი „ბარსელონადან"; **85**. კონგოს დედაქალაქი; **86**. XX საუკუნის ქართველი პოეტი; **88**. შაჰ-აბასის სარეზიდენციო ქალაქი; **90**. (კიდევ ერთი) ტბა აშშ-ს დიდი ტბების სისტემიდან; **93**. საერთო გვარი ორი ავსტრიელი მწერლისა; **94**. ქალაქი, სადაც 1555 წელს სპარსეთ-ოსმალეთის ზავი დაიდო; **97**. მანქანა, რომელიც „ყველგან მივა"; **100**. იგივეა, რაც ბედი.


























ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო ილუსტრირებულ კროსვორდის შედგენაზე კროსვორდის შესაბამისი წესებისა და ილუსტრაციების შესაბამისი გამომსახველობითი კანონების დაცვით.
გამარჯვებულს ელის შესაბამისი ჯილდო.
დაგვიკავშირდით 11-17 საათებში
ტელეფონით — 74-64-80